მეწარმეობის არსის, გენეზისისა და კლასიფიკაციის შესახებ

DOI:10.36962/ECS106/9-10/2024-52

უშანგი სამადაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
E-mail: u.samadashvili@mail.ru

რეზიუმე

დახასიათებულია მეწარმეობის არსი და გენეზისი; **გამოკვეთილია,** რომ მეწარმეობას, როგორც კვლევის ობიექტს, ყოველთვის არ ეთმობოდა გამორჩეული ადგილი ეკონომიკური აზრის ისტორიაში. პირველი, ვინც გამოიყენა ცნება „მეწარმე“ და ახსნა მისი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში, იყო ფრანგი სწავლული რიჩარდ კანტილონი; **ნაჩვენებია,** რომ მეწარმეობის თანამედროვე გაგებას საფუძველი ჩაუყარა ავსტრიელმა იოზეფ შუმპეტერმა, რომელმაც შემოქმედებითი მეწარმე ეკონომიკის რევოლუციონერად, ანუ განვითარების საფუძვლად აღიარა; არსებული კვლევების საფუძველზე ერთმანეთისგან **გამიჯნულია** მეწარმე და ბიზნესმენი იმიტომ, რომ მეწარმე მიდრეკილია ექსპერიმენტებისკენ, ინოვაციებისკენ და ახალი ნივთების შექმნისკენ. ბიზნესმენი კი ორიენტირებულია არსებული ბიზნესის ეფექტიანი მართვის საკითხებზე. მეწარმე, ბიზნესმენისაგან განსხვავებით, არის ის, ვინც თავად ფლობს და მართავს საკუთარ ბიზნესს; **მეწარმეობა დაყოფილია** ინოვაციის დონისა და რისკის ხარისხის მიხედვით: „ბიზნესი“, „ტრადიციული მეწარმეობა“ და „ინოვაციური მეწარმეობა. ამგვარი გამიჯვნა ხდება მხოლოდ თეორიულ დონეზე, რამეთუ ამის გაკეთება პრაქტიკაში შეუძლებელია თუნდაც სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემების უქონლობის გამო; **დასაბუთებულია,** რომ ბიზნესსა და მეწარმეობას აქვს განსხვავებული მიზან-ამოცანები, მიზნის მიღწევის გზები, მფლობელთა როლი და შეცდომებისადმი დამოკიდებულება; **პუნქტობრივად ჩამოყალიბებულია** მეწარმესა და გამომგონებელს (რაციონალიზატორს), მეწარმესა და მენეჯერს შორის განსხვავება; **აღნიშნულია**, რომ სამეწარმეო უნარით (ტალანტით) დაჯილდოებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაქსიუმ ათი პროცენტი, პროფესიონალი მენეჯერი კი ბევრად მეტია; **ხაზგასმულია,** რომ მეწარმე თავისი შრომის შინაარსით დიდად წააგავს ისეთი შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს, როგორიცაა: მეცნიერი, მწერალი და რეჟისორი.

საკვანძო სიტყვები: მეწარმე, ბიზნესმენი, მენეჯერი, ბიზნესი, ტრადიციული მეწარმეობა, ინოვაციური მეწარმეობა, გამომგონებელი.

ძირითადი ტექსტი

ინოვაციური მეწარმეობის ცნების არსის უკეთ გაგებისთვის ჯერ მივყვეთ ცნების - „მეწარმე“ და “მეწარმეობა” - ევოლუციას. მართალია, ბიზნესი, როგორც რეალური ეკონომიკური მოვლენა, საზოგადოების ისტორიის გარიჟრაჟზე იშვა, მაგრამ თვით ტერმინები „ბიზნესი” და „მეწარმეობა“ სამეცნიერო და სამეურნეო ბრუნვაში შემოვიდა XVIII საუკუნეში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად.

ბიზნეს-საქმიანობა, როგორც ობიექტური რეალობა, კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდში გაჩნდა, როდესაც საფუძველი ჩაეყარა მეურნეობის ნატურალური ორგანიზაციდან მეურნეობის საქონლურ ორგანიზაციაზე გადასვლას (**სამადაშვილი უ. 2007**).

ხელოსნობის წარმოშობისთანავე, როგორც კი სოფლის მეურნეობამ შეწყვიტა ორიენტირება საკუთარი ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და გადაერთო ბაზარზე გასაყიდად გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე და საქონლის მოთხოვნა-მიწოდების თანაფადობის საფუძველზე ჩამოყალიებებულ ფასებზე, მაშინვე გაჩნდა სიტუაცია, როდესაც ადამიანი ამათუიმ ფორმით იძენს გარკვეულ რესურსებს, მათი დახმარებით აწარმოებს პროდუქტს, ყიდის საბაზრო ფასებში და საკუთარ თავზე იღებს გარკვეულ რისკს. სწორედ ასეთი საქმიანობა არის სამეწარმეო საქმიანობა და ამ ადამიანს ეწოდება "მეწარმე" (**Гашко Д. 2017).**

ბიზნესმა თავისი განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურს მიაღწია ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაციის პირობებში, როდესაც წარმოების ყველა ფაქტორი (კაპიტალი, მიწა და თვით შრომა) ყიდვა-გაყიდვის ობიექტია და მთელი პროდუქცია იწარმოება გასაყიდად მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. სწორედ ამიტომ ბიზნესი ვიწრო გაგებით, საბაზრო ეკონომიკის პირმშოა, რომელიც მასთან ერთად იცვლება და ვითარდება (**სამადაშვილი უ. 2007**)

როგორც ვხედავთ, **მეწარმეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. თუმცა, მეწარმეობას, როგორც კვლევის ობიექტს, ყოველთვის არ ეთმობოდა გამორჩეული ადგილი ეკონომიკური აზრის ისტორიაში.** პირველი კვლევის გამოქვეყნებიდან დაწყებული, რომლის სახელწოდებაა „პოლიტიკური ეკონომიკა" (**Moncrietien A. 1615**) და მე-20 საუკუნის დასაწყისამდე მეწარმეობა იშვიათად ექცეოდა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. იმ ხანად ეკონომიკურად მოაზროვნეებს უპირატესად აღელვებდათ ფასების დონის დამოკიდებულების პრობლემა მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობაზე, ფულის მიმოქცევის პრობლემები, საგარეო სავაჭრო ბალანსი, შიდა მოთხოვნის, კერძო ინტერესების ფაქტორები, სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში და ა.შ.

თუმცა, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ცნება „მეწარმე" გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც მოექცა მკვლევართა გარკვეული წრის ყურადღების ქვეშ. ასე მაგალითად, საუკუნეების განმავლობაში ადამიანებმა განავითარეს უამრავი თეორია, რომელთა მიზანიც იყო, ჩამოეყალიბებინათ, თუ რა არის მეწარმეობა და ვინ არიან მეწარმეები. ტერმინი entrepreneurship-ის (მეწარმეობის) ეტიმოლოგია ფრანგული და გერმანული ენებიდან მოდის და „წამოწყებას", „კისრებას" ნიშნავს. ამ კომპლექსური ფენომენის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს, რაშიც სხვადასხვა სკოლების შეხედულებების განხილვისას დავრწმუნდებით.

პირველი, ვინც გამოიყენა ცნება „მეწარმე" და ახსნა მისი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში, იყო **ფრანგი სწავლული რიჩარდ კანტილონი (**1680-1734) **(Кантильон Р. 1755).** მან მეწარმეობა ვაჭრობას დაუკავშირა და მიიჩნია გამდიდრების წყაროდ, ხოლო მეწარმე ვაჭართან გააიგივა. მისი აზრით, მეწარმეები იქცევიან როგორც შუამავლები, ყიდულობენ ერთ ფასში და ყიდიან განსხვავებულ ფასში. ამ პროცესში მეწარმეები ასრულებენ ყველა გაცვლით ოპერაციას და თავის თავზე იღებენ რისკს იყიდონ განსაზღვრულ ფასად და გაყიდონ განუსაზღვრელ ფასში. **მოკლედ, რიჩარდ კანტილონის გასაზღვრებით მეწარმე არის გამრისკველი ადამიანი, რომელიც მზადაა გარისკოს მომავალი სარგებლის მისაღებად.** რ. კანტილონის მიდგომა გულისხმობს იმავე დოქტრინას, რასაც ჩ. დარვინის ევოლუციის თეორია: გადარჩებიან მხოლოდ ყველაზე ძლიერი მეწარმეები. წარუმატებლები კი დამარცხდებიან და გაწეული რისკი აიძულებს მათ დატოვონ ბიზნესი.

მოგვიანებით ასევე ცნობილმა ფრანგმა ეკონომისტმა **ჟან ბატისტ სეიმ (1767- 1832)** წიგნში „პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატი" (**Сэй Ж.-Б. 2000**). ჩამოაყალიბა სამეწარმეო საქმიანობის განმარტება, როგორც წარმოების სამი კლასიკური ფაქტორის - მიწა, შრომა, კაპიტალი - კომბინაცია და კოორდინაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ „ინგლისელი მეწარმეების ნიჭი" იყო ინგლისის ინდუსტრიის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი. ჯ.-ბ. სეის მთავარი თეზისი არის ის, რომ აღიარა მეწარმეების აქტიური როლი პროდუქტის შექმნაში. მეცნიერის თქმით, მეწარმის შემოსავალი არის მისი შრომის, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ორგანიზებისა და „წესრიგის" უზრუნველყოფის უნარის ანაზღაურება. მეწარმე, მისი აზრით, არის ადამიანი, რომელიც მიდის რისკზე და მოგების მიღებისთვის პროდუქტს აწარმოებს.

გერმანელი, **ოჰან ტიუნენის** (1778-1850) სახელთან არის დაკავშირებული მეწარმეობის განსაზღვრაში რისკის შემოტანა.

სამწუხაროდ, ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსები **[ადამ სმიტი (1723-1790) და დევიდ რიკარდო (1772-1823)]** დიდად არ დაინტერესებულან მეწარმის ფიგურით. სამეწარმეო საქმიანობა არ გამხდარა მათი მეცნიერული ანალიზის საგანი. იმიტომ, რომ მათ ეკონომიკა წარმოედგინათ, როგორც თვითრეგულირებადი მექანიზმი, რომელშიც შემოქმედებითი მეწარმეობისთვის არ არის ადგილი.

ამერიკელმა ეკონომისტმა **ჯ. ბ. კლარკმა (1847-1938)** რამდენადმე შეცვალა ჟან ბატისტ სეი-ს სამმაგი ფორმა. მისი აზრით, „თავისუფალი კონკურენცია ცდილობს შრომით რესურსებს მისცეს ის, რასაც შრომა ქმნის. კაპიტალისტს – ის, რასაც კაპიტალი ქმნის და მეწარმეებს – ის, რაც იქმნება კოორდინაციის ფუნქციით“ (**Кларк Дж. 1992**).

მეწარმეობის თანამედროვე გაგებას საფუძველი ჩაუყარა ავსტრიელმა **იოზეფ შუმპეტერმა (1883-1950),** რომელმაც შემოქმედებითი მეწარმე ეკონომიკის რევოლუციონერად, ანუ განვითარების საფუძვლად აღიარა. მისი აზრით მეწარმეები, როგორც ფიგურები, რომლებიც გადამწყვეტად არღვევენ წარმოებისა და სოციალური ცხოვრების ორგანიზაციის წინა ფორმებს, არიან სოციალური და პოლიტიკური რევოლუციის ინიციატორები. ი.შუმპეტერის თქმით, მეწარმე არის **ინოვატორი და ცვლილების განმახორციელებელი,** „კრეატიული, შემოქმედებითი ნგრევის“ პროცესის ლიდერი და ხელისშემწყობი, მაშასდამე - მთავარი ფიგურა საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაში.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამგვარ შეფასებას, რომ მეწარმე ბუნებით არის ნოვატორი და შემოქმედი. რიგი ფუნქციები, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, მეწარმეს აკავშირებს მენეჯერის საქმიანობასთან. თუმცა, მეწარმე არ უნდა იყოს იდენტიფიცირებული მენეჯერთან. ორივეს ფუნქციური არსი განსხვავებულია. ერთის მხრივ, „მეწარმეობის“ ცნება უფრო ფართოა, ვიდრე „მმართველური საქმიანობის“ ცნება. მეორეს მხრივ, ეფექტიანი მენეჯმენტი (მართვა) ყოველი თავისი თანამედროვე ფუნქციით, ყველა მეწარმეს არ ძალუძს. ეს კარგად არის ნათქვამი მენეჯმენტის საფუძვლების შესახებ ცნობილ წიგნში: ”... ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა პირადი რისკი, რეაქცია ფინანსურ შესაძლებლობებზე და ხანგრძლივი და შრომისმოყვარე მუშაობის სურვილი, დასვენების მიუხედავად, ე.ი. ის, რაც ტრადიციულად განიხილება კარგი მეწარმის თვისებად, სულაც არ მიუთითებს იმავე ადამიანის უნარზე, ეფექტიანად მართოს ორგანიზაცია, როცა ის იზრდება” (**Мескон М. 1992**). სრულიად უნდა დაეთანხმო, ასევე, ი. შუმპეტერის ამ შეფასებას, რომ მეწარმე ბუნებით მართლაც არის ნოვატორი და შემოქმედი. მეწარმეობის ფუნქციებში იგი გამოყოფდა ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა **ახალი დოვლათის** წარმოების წამოწყება, **წარმოების ახალი წესის** გამოყენება, **ნედლეულის ახალი** წყაროებისა და პროდუქციის **გასაღების ახალი ბაზრების ათვისება**, **დარგობრივი სტრუქტურის შეცვლა და სხვა. მისი აზრით მეწარმე ეს არის ადამიანი, რომელიც გამოგონების კომერციულ რეალიზაციას ახდენს.** (**Шумпетер Й. 1982**). ამრიგად, ი.შუმპეტერს მიაჩნია, რომ გამოგონება (სიახლე) და ინოვაცია მეწარმეობის განუყოფელი მახასიათებელია.

მხოლოდ XIX-XX საუკუნეების შესაყარზე დაიწყო მეწარმეობის ინსტიტუტის მნიშვნელობისა და როლის გაცნობიერება. ფრანგი ეკონომისტი **ა.მარშალი (1907–1968)** იყო პირველი, ვინც წარმოების სამ კლასიკურ ფაქტორს (მიწა, კაპიტალი, შრომა) დაამატა წარმოების მეოთხე ფაქტორი - ორგანიზაცია. ამის შემდეგ მეწარმეობის კონცეფცია გაფართოვდა მისთვის დაკისრებული ფუნქციებით.

ა. ხოსკინგის ნაშრომში (Хоскинг А.1993)-„მეწარმეობის ეკონომიკა”, თანმიმდევრულად არის გადმოცემული მეწარმეობის თეორია, გაანალიზებულია მეწარმეობის გარემო და ბიზნესის მექანიზმი. გამოკვეთილია ურთიერთობა: მეწარმე-საზოგადოება-სახელმწიფო.

პიტერ დრუკერი (1909-2005) არის ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც პირველად გამიჯნა ცნებები: მეწარმეობა და ბიზნესი.მისი აზრით, ბიზნესს და მეწარმეობას შო-

რის განსხვავება უნდა ვეძიოთ არა საქმიანობის სფეროში (საწარმოო ბიზნესია თუ სავაჭრო) ან საქმიანობის მასშტაბებში (მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესი), არამედ იმაში, ეს საქმიანობა რუტინულია(შაბლონურია, ძველებურია), თუ შემოქმედებითია, სიახლეების მატარებელი.

ხშირად ისმის კითხვა - რითი განსხვავდება მეწარმე და ბიზნესმენი ერთმანეთისგან? შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეორიულ დონეზე მეწარმე და ბიზნესმენი ორი განსხვავებული სუბიექტია კომერციულ სფეროში. მთავარი განსხვავება მეწარმესა და ბიზნესმენს შორის არის მათი მიდგომა ბიზნეს-საქმიანობის მიმართ. **მეწარმე მიდრეკილია ექსპერიმენტებისკენ,** ინოვაციებისკენ და ახალი ნივთების შექმნისკენ. ის მზადაა გარისკოს და გამოსცადოს ახალი იდეები, მაშინაც კი, თუ მათ ყოველთვის არ მოაქვთ მყისიერი წარმატება. **ბიზნესმენი ორიენტირებულია არსებული ბიზნესის ეფექტიანი მართვის საკითხებზე. კიდევ ერთი განსხვავება მეწარმესა და ბიზნესმენს შორის არის მათი მიზნები**. მეწარმე ცდილობს შექმნას რაღაც ახალი, შეცვალოს სტატუსკვო და დაძლიოს სირთულეები. ის შეიძლება იყოს მოტივირებული არა მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლებით, არამედ მსოფლიოს უკეთეს ადგილად ქცევის ან გარკვეული პრობლემის გადაჭრის სურვილით. **ბიზნესმენი, მეწარმესგან განსხვავებით,** პირველ რიგში ორიენტირებულია თავისი ბიზნესის მოგებაზე და ფინანსურ წარმატებაზე.

ბიზნესმენისაგან განსხვავებით მეწარმე არის ის, ვინც ფლობს და მართავს საკუთარ ბიზნესს. პირველი მენეჯერები სწორედ მეწარმეთა ფენას წარმოადგენდნენ: **როკფელერი** (ნავთობის ბიზნესი), **მორგანი** (ფოლადის ბიზნესი და საბანკო საქმე), მელონი (ალუმინის ბიზნესი), **კარნეგი** (ფოლადის ბიზნესი), **ფორდი** (ავტომობილების ბიზნესი) და მათი თანამედროვენი-**ბილ გეიტსი** (კომპანია მაიკროსოფთი), **სტივენ ჯობსი** (კომპანია ეიფლი) და სხვანი. მეწარმეობა გულისხმობს ბიზნესის ისეთნაირად წარმართვას, რომ შეიქმნას ახალი საქონელი, ბაზარი და მომხმარებელი. ე.ი. მეწარმეობა ინოვაციური პროცესია.

თუმცა, ისიც უნდ ითქვას, რომ „მეწარმე“ და „ბიზნესმენი“ არ არის ურთიერთგამომრიცხავი ცნებები. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთმა ადამიანმა შეიძლება შეუხამოს ორივე როლის მახასიათებლები. ბევრი წარმატებული მეწარმე ხდება ბიზნესმენი მას შემდეგ, რაც ისინი შექმნიან თავიანთ ბიზნესს და დაიწყებენ მის განვითარებას. მათ კარგად ესმით ეფექტიანი მენეჯმენტისა და პროცესების ოპტიმიზაციის მნიშვნელობა სტაბილური მოგების მისაღწევად.

მეწარმე თავისი შრომის შინაარსით დიდად წააგავს ისეთი შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს, როგორიცაა: მეცნიერი, მწერალი და რეჟისორი. ასე მაგალითად: მეწარმე, შეიმუშავებს რა ახალ იდეას ან პრინციპულად სრულყოფს მას, გვაგონებს მეცნიერს, გამომგონებელს. მეწარმე, ამ იდეის მიხედვით წერს რა ბიზნეს-გეგმას (სცენარს), წააგავს მწერალს; მეწარმე, ამ სცენარის მიხედვით დგამს რა სპექტაკლს, გვაგონებს რეჟისორს (მენეჯერს).

მეწარმესა და გამომგონებელს (რაციონალიზატორს) შორის განსხვავება იმაშია, რომ აუცილებელი არ არის მეწარმემ თვითონ შეიმუშაოს იდეა. შესაძლებელია, მან სხვის მიერ შემუშავებული იდეა დანერგოს. გამომგონებელმა (რაციონალიზატორმა) კი იდეა აუცილებლად თავად უნდა შეიმუშაოს.

ხაზგასასმელია, რომ ბიზნესსა და მეწარმეობას აქვს განსხვავებული მიზან-ამოცანები, მიზნის მიღწევის გზები, მფლობელთა როლი და შეცდომებისადმი დამოკიდებულება.

მიზნები და ამოცანები: ბიზნესის მთავარი მიზანი არის მოგება, მეწარმეობა კი მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის ღირებულების შექმნას. ბიზნესი ისწრაფვის სტაბილურობისა და ზრდისკენ, მეწარმეობა კი ინოვაციასა და ცვლილებას ეხება.

მიზნის მიღწევის გზები: ბიზნესი ყველაზე ხშირად ეფუძნება არსებულ მოდელებსა და სტრატეგიებს, ხოლო მეწარმეობა მოითხოვს ინოვაციურ მიდგომას და რისკებისთვის მზადყოფნას. მეწარმე გადაწყვეტილებებს იღებს ინტუიციისა და ინოვაციების საფუძველზე, ხოლო ბიზნესის მფლობელი გამოცდილებასა და მონაცემებზეა ორიენტირებული.

მფლობელის როლი: ბიზნესის მფლობელი, როგორც წესი, უფრო კონსერვატიული და შედეგზე ორიენტირებულია, ხოლო მეწარმე მზად არის რისკზე წავიდეს და წავიდეს დინების წინააღმდეგ.

მეწარმე არის თავისი კომპანიის ლიდერი და ინსპირატორი, ის ქმნის ახალ შესაძლებლობებს და წარმართავს საწარმოს ინოვაციებისკენ.

შეცდომებისადმი დამოკიდებულება: ბიზნესის მფლობელი ცდილობს თავიდან აიცილოს შეცდომები და მინიმუმამდე დაიყვანოს რისკები, ხოლო მეწარმე მზად არის ისწავლოს წარუმატებლობებზე და წავიდეს წინ. მეწარმე შეცდომებს სწავლისა და განვითარების პროცესის ნაწილად თვლის, ბიზნესის მფლობელი კი ცდილობს თავიდან აიცილოს წარუმატებლობა ყველა ფასად.

ამრიგად, ბიზნესსა და მეწარმეობას აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც გასათვალისწინებელია სტრატეგიის შემუშავებისა და საქმიანობის დაგეგმვისას. ბიზნესის მფლობელი და მეწარმე არის ორი განსხვავებული (ფიგურა) როლი, რომელიც მოითხოვს განსხვავებულ უნარებსა და თვისებებს. ამ განსხვავებების გაგება მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმატებულად წარმართვაში და დასახული მიზნების მიღწევაში. მეწარმე (ინგლ. „entrepreneur“) არის პირი, რომელიც ფლობს საკუთარ ბიზნესს, რომლის მთავარი მიზანია საქონლის გაყიდვით ან მომსახურების გაწევის გზით სისტემატური მოგების მიღება. ბიზნესმენი არის ადამიანი, რომელიც ფლობს საკუთარ ბიზნესს ან არის ჩართული ბიზნესში, რომლის მთავარი ამოცანაა მოგება და კომპანიის განვითარება. ორივე ცნებას ახასიათებს რისკი და პირადი პასუხისმგებლობა, საქმიანობის სუბიექტების ზოგადი პიროვნული მახასიათებლები (პასუხისმგებლობა, თვითმოტივაცია, გადაწყვეტილების მიღების უნარი და დასახული მიზნის მიღწევა) (**Отличия. 2024**).

თვალსაჩინოების სახით ბიზნესისა და მეწარმეობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები წარმოდგენილია №1 ცხრილში.

ცხრილი №1

ნიშან-თვისებები	ბიზნესი	მეწარმეობა
ძირითადი მიზანი	სტაბილური მოგება	თვითრეალიზაცია კონკურენტული ბიზნეს მოდელის ფორმირების გზით
ბიზნეს პროცესების მართვაში მონაწილეობა	პირადი მონაწილეობა არ არის საჭირო (აუცილებელი)	ბიზნეს პროცესების ფორმირებაში სავალდებულო პირადი მონაწილეობა
ბაზარზე ორიენტაცია	არსებულ ბაზრებზე ორიენტაცია	ახალი ბაზრების ფორმირება (შესაძლებელია, მინიმუმ, ახალი ნიშების ფორმირება არსებულ ბაზრებზე)
რისკები	ზომიერი ბიზნეს რისკები	მაღალი სამეწარმეო რისკები, დაკავშირებული სიახლესთან

და ბოლოს, ინოვაციური მეწარმეობის კატეგორიის წარმოშობისა და განვითარების შესწავლის საფუძველზე, ასევე, მიზანშეწონილია მეწარმეობის დაყოფა ინოვაციების დონისა და რისკის ხარისხის მიხედვით და მათი უკეთ იდენტიფირებისათვის გონივრულად იქნას გამოყენებული შემდეგი განმარტებები:

„ბიზნესი“ ესაა სამეწარმეო საქმიანობა ტრადიციული ბიზნეს მოდელებით ტრადიციულ ბაზრებზე მოგების მიღების მიზნით; **„ტრადიციული მეწარმეობა“** არის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ტრადიციული ბიზნეს პროცესების ცვლილებებისა და ტრადიციული საქონლის მოდიფიკაციის საფუძველზე ტრადიციულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით; **„ინოვაციური მეწარმეობა“** არის ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვა-

ციების კომერციალიზაცია, რაც ხელს უწყობს ფუნდამენტურად ახალი პროდუქტებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნას ახალი ბაზრებისთვის.

აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ მათ (**„ბიზნესი“, „ტრადიციული მეწარმეობა“, „ინოვაციური მეწარმეობა“**) განსხვავებული საქონლის სასიცოცხლო ციკლი და განსხვავებული მართვის სისტემა აქვთ. ყოველი მომდევნო ეტაპი უფრო სარისკოა და შესაბამისად მისი განვითარება მოითხოვს უფრო რთულ და ფართო მხარდაჭერისა და დაფინანსების მექანიზმებს.

თუ ადრე მესამე ჯგუფში (**„ინოვაციური მეწარმეობა“**) ძირითადად ჩართული იყვნენ დროებითი საპროექტო გუნდები, რომლებიც დაკავებული იყვნენ კონკრეტული იდეის კომერციალიზაციით, **ახლა აქტიურად ვითარდებიან კომპანიები, რომლებისთვისაც ინოვაცია სპეციალიზაციაა: ვენჩურული, საინჟინრიგო, დამნერგავი კომპანიები, პროფესიული ცენტრები.**

ტრადიციული მეწარმეობისა და ინოვაციური მეწარმეობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები იხილე №2 ცხრილში.

ცხრილი №2

ნიშან- თვისებებიები	**ტრადიციული მეწარმეობა**	**ინოვაციური მეწარმეობა**
ბიზნეს იდეის საფუძველი	ტრადიციული ბიზნეს პროცესების მოდიფიკაცია. საქონლის, მომსახურების მოდიფიკაცია	ფუნდამენტურად ახალი ბიზნეს პროცესების დანერგვა ფუნდამენტურად ახალი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში დანერგვა
საქონელი	ტრადიციული მოდიფიცირებული	ფუნდამენტურად ახალი
ბაზარი	ტრადიციული მოდიფიცირებული	ფუნდამენტურად ახალი
დამოკიდებულება სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესისადმი	შესაძლოა არაპირდაპირი და გაშუალებული	პირდაპირი და უშუალო
რისკები	მაღალი ბიზნეს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია სიახლესთან	უკიდურესად მაღალი სამეწარმეო რისკები (ინოვაციური რისკები)

ინოვაციურ საქმიანობის მიზანი არის კონკურენტების ბაზრის გარკვეული წილის ხელში ჩაგდება, ასევე არსებული ბაზრის გაფართოება-ახალი კლიენტების მოზიდვა ან არსებული კლიენტების წახალისება მოხმარების გაზრდისკენ. უფრო კონკრეტულად, **ინოვაციური მეწარმეობის მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკაში გამოიხატება ასეთნაირად:** იზრდება სამეწარმეო კომპანიების ეკონომიკური ეფექტი; იქმნება სამუშაო ადგილები; სამეწარმეო კომპანიები იძლევიან სოციალურ ეფექტს. ინოვაციური მეწარმეობა მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის ზრდისა და მდგრადი განვითარებისთვის, რათა არ ჩამორჩეს განვითარებულ სამყაროს, სამუშაო ადგილების შექმნისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის, ამავდროულად საზოგადოების თანამედროვე საჭიროებებთან ადაპტაციისთვის. ინოვაციურ მეწარმეობას შეუძლია უზრუნველყოს იდეების შემოთავაზება, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალი და არსებული ბიზნესების განვითა-

რებას, ახალი პროდუქტების შემუშავებას და ცვლილებების სტიმულირებას კლიენტების მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ, ასევე, „მეწარმე“ და „მენეჯერი“. მეწარმე ახალი იდეების შემოქმედი, ბიზნესის სტრატეგიული მიმართულებების (მისიის, მიზნის) შემმუშავებელია, მენეჯერი კი - ამ სტრატეგიული მიმართუ- ლებების რეალიზატორი; მეწარმეს მოგებისაკენ მიმართული დამოუკიდებელი საქმიანობისათვის გარკვეული კაპიტალი ესაჭიროება, მენეჯერს კი ეს არ მოეთხოვება; წარუმატებლობის შემთხვევაში მეწარმე მიდის კაპიტალის (ქონების) დაკარგვის რისკზე, მენეჯერი კი - თანამდებობის დაკარგვის რისკზე; მეწარმე დამოუკიდებელი მეურნეა, მენეჯერი კი - მისგან დაქირავებული მმართველი; მეწარმე შესაძლოა არ ფლობდეს მენეჯმენტის ფუნქციებს, პროფესიონალი მენეჯერისათვის კი ეს სავალდებულოა; მეწარმის შრომის საზღაურია მოგება, მენეჯერისა კი - ხელფასი; სამეწარმეო უნარით (ტალანტით) დაჯილდოებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაქსიუმ ათი პროცენტი, პროფესიონალი მენეჯერი კი ბევრად მეტია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამადაშვილი უ. (2007). ბიზნესის საფუძვლების საგნისა და მეთოდის საკითხისათვის. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. 2007წ. №6 გვ. 29 .

2. სამადაშვილი უ. (2007). ბიზნესის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები. მცირე მეწარმეობის პრობლემები ექსპერტთა თვალით. თბ. 2007 წ. ტომი II. გვ.23 .

3. Гашко Д.В., Ялунер Е.В. (2017). Основы предпринимательской деятельности : учебное пособие / СПб. : Изд-во СПбГЭУ, 147.

4. Кантильон Р. (1755). Опыт о природе торговли вообще

5. Кларк Дж. Б. (1992). Распределение богатства. М. : Экономика.

6. Moncrietien A. (1615). „Treatise of Political Economy“

7. Мескон М. Х., Альберт М., Хедуори Ф. (1992). Основы менеджмента. М.

8. Отличия между бизнесом и предпринимательством. https://marketer.by/2024/04/08/otlichiya-biznesa-ot-predprinimatelstva]

9. Сэй Ж.-Б. (2000). Трактат политической экономики. М. : Дело.

10. Шумпетер Й. (1982). Теория экономического развития. С. 227

11. Хоскинг А. (1993). Курс предпринимательства.Пер. с англ.

REFERENCES:

1. Samadashvili U. (2007). For the subject matter and method of business fundamentals. “New Economist” magazine. 2007 No. 6 p. 29.

2. Samadashvili U. (2007). Theoretical and methodological problems of business. Problems of small business from the eyes of experts. Tb. 2007 Volume II. p. 23.

3. Gashko Д.В., Ялунер Е.В. (2017). Основы предправлениеской делаться : учебное пособие / СПб. : Изд-во СПбГЭУ, 147.

4. Kantillon P. (1755). Experience in nature trade in general

5. Clark J. B. (1992). Distribution of wealth. M. : Economics.

6. Moncrietien A. (1615). “Treatise of Political Economy”

7. Meskon M. Kh., Albert M., Kheduori F. (1992). Fundamentals of management. M.

8. Отличия между бизнесом и entrepreneurship. https://marketer.by/2024/04/08/otlichiya-biznesa-ot-predprinimatelstva]

9. Сей Ж.-Б. (2000). Treatise on political economy. M. : business

10. Shumpeter Y. (1982). Theory of economic development. C. 227

11. Hosking A. (1993). Course of Entrepreneurship.Per. with English

ABOUT THE ESSENCE, GENESIS AND CLASSIFICATION OF ENTREPRENEURSHIP

Ushangi Samadashvili
Associate Professor,
Doctor of Economic Sciences, Iv. Javakhishvili
Tbilisi State University
E-mail: u.samadashvili@mail.ru.

RESUME

The work describes the essence and genesis of entrepreneurship; It is highlighted that entrepreneurship, as an object of research, was not always given a prominent place in the history of economic thought. The first to use the term "entrepreneur" and explain its importance in the development of the economy was the French scholar Richard Cantillon; It is shown that the foundation of the modern understanding of entrepreneurship was laid by the Austrian Joseph Schumpeter, who recognized the creative entrepreneur as a revolutionary of the economy, i.e. the basis of development. Based on existing studies, entrepreneur and businessman are distinguished from each other because the entrepreneur tends to experiment, innovate and create new things. A businessman is focused on effective business management issues. An entrepreneur, as opposed to a businessman, is someone who owns and manages his own business; Entrepreneurship is divided according to the level of innovation and degree of risk: "business", "traditional entrepreneurship" and "innovative entrepreneurship. Such a separation is made only at the theoretical level, because it is impossible to do it in practice even due to the lack of statistical accounting data; It is justified that business and entrepreneurship have different goals and objectives, ways of achieving the goal, role of owners and attitude to mistakes; The difference between an entrepreneur and an inventor (rational analyst), an entrepreneur and a manager is established point by point; It is noted that a maximum of ten percent of the economically active population is gifted with entrepreneurial ability (talent), and professional managers are much more; It is emphasized that the content of the entrepreneur's work is very similar to the people of such creative professions as: scientist, writer and director.

Keywords: entrepreneur, businessman, manager, business, traditional entrepreneurship, innovative entrepreneurship, inventor.